ხელშეკრულება N3

აუდიტორული შემოწმების ჩატარებაზე

ქ.თბილისი 25 **იანვარი 2024 წ.**

აუდიტური ფირმა შპს „გგ აუდიტ ჯორჯია“, (ს/კ 204574175) წარმოდგენილი დირექტორის **გოჩა გარუჩავას** სახით, შემდგომში **აუდიტორი**, რომელიც მოქმედებს წესდების საფუძველზე, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ **სსიპ „ქ. თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი“,** (ს/კ 231169641) წარმოდგენილი სამხატვრო ხელმძღვანელის **პაატა გულიაშვილის** სახით შემდგომში დამკვეთი, რომელიც მოქმედებს პარტიის წესდების საფუძველზე, შემდგომში „მხარეები“, დადეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. <u>ხელშეკრულების საგანი</u>

1.1 დამკვეთის დავალებით აუდიტორული ფირმა (აუდიტი) იღებს ვალდებულებას დამკვეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის საფუძველზე ჩაატაროს დამკვეთის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება. ხოლო დამკვეთი იღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულების პირობებითა და წესით დროულად ანაზღაუროს გაწეული მომსახურება.
1.2 წინამდებარე ხელშეკრულების 1.1-ში მითითებული მომსახურება ხორციელდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

კერძოდ სამეურნეო და საფინანსო ოპერაციების შესაბამისობის დადგენა საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედ ნორმატიულ აქტებთან (აუდიტის მიმდინარეობისას დაუშვებელია ,,აუდიტის,, წინაშე რაიმე სხვა ამოცანების დასმა).
1.3 CPV კოდები (დეტალური) 79212000 - აუდიტორული მომსახურება. დაფინანსების წყარო 2024 წლის საკუთარი შემოსავლები. შესყიდვის საშუალება და საფუძველი - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

2. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

2.1 დამკვეთი იღებს ვალდებულებას:

2.1.1 დამოუკიდებლად მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება, მისი მომზადების მომენტისათვის მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად;

2.1.2 საკუთარი ძალებითა და სახსრებით ჩაატაროს ქონებისა და ფინანსური ვალდებულებების ინვერტარიზაცია, აგრეთვე უზრუნველყოს ინვენტარიზაციის შედეგების გაფორმება ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით;

2.1.3 შეთანხმებულ ვადებში გადასცეს ,,აუდიტს,, სადამფუძნებლო დოკუმენტები, ფინანსური, სტატისტიკური და შიდა ოპერატიული ანგარიშგება, პირველდი დოკუმენტები და ბუღალტრული ჩანაწერები, მონაცემთა კომპიუტერული ბაზები, ანგარიშები, გეგმები, ხელშეკრულებები, ხარჯთაღრიცხვები და სხვ დოკუმნეტები, საცნობარო მასალები და ინფორმაცია, რომელიც

აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად.

2.1.4 ზემოაღნიშნული დოკუმენტების, ფინანსური ანგარიშგებისა და სხვა ინფორმაციის ,,აუდიტზე,, წარდგენის ვადების გაზრდა, იმის მიუხედავად, მოხდა თუ არა ეს დამკვეთის მიზეზით, თუ გამოიწვევს ამ ხელშეკრულების 1.1 და 1.2 პუნქტებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შეუძლებლობას წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, მიიჩნევა ხელშეკრულების მოქმედების ვადის ავტომატურად გაგრძელების საფუძვლად იმ დროით, რამდენიც საჭიროა სამუშაოების დასრულებისათვის;

2.1.5 აუდიტს მისცეს შესაძლებლობა, შეამოწმოს ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების, ფულადი სახსრებისა და ფულადი დოკუმენტების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა აქტივების არსებობა;

2.1.6 ,,აუდიტის,, მოთხოვნით მისცეს განმარტება ისეთ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია აუდიტთან;

2.1.7 ხელი შეუწყოს ,,აუდიტს,, მისი წერილობითი მოთხოვნის მიხედვით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ჩასატარებლად საჭირო ინფორმაციის მიღებაში მესამე პირებისაგან, მათ შორის დამკვეთის დებიტორებისა და კრედიტორებისაგან;

2.1.8 გამოუყოს შესაბამისი სამუშაო ადგილი (ოთახი) და საჭირო ორგტექნიკა ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვაისწინებული სამუშაოების შესასრულებლად;

2.1.9 მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადაში აღმოფხვრას აუდიტორული შემოწმების შედეგად ფინანსურ ანგარიშგებაში გამოვლენილი არსებითი დამახინჯებები (უზუსტობები).

✓ აუდიტში არსებითად მიიჩნევა ისეთი უზუსტობები (შეცდომები), რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაზე. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, არსებითობის დონეს განსაზღვრავს აუდიტორული ფირმა შიდა საფირმო სტანდარტის საფუძველზე.

✓ თუ დამკვეთმა ვერ შეძლო ზემოთ აღნიშნული დარღვევების აღმოფხვრა, ,,აუდიტს,, უფლება აქვს, მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების ვადისა და ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება მხარეთა მიერ შეთანხმებული პერიოდით, ან ვადაზე ადრე შეწყვიტოს (მოშალოს) ხელშეკრულება. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის დროს ,,აუდიტს,, ანაზღაურება ეძლევა ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

✓ თუ დამკვეთმა უარი განაცხადა შესაბამისი შესწორებების გაკეთებაზე, ,,აუდიტს,, უფლება აქვს, უარი თქვას დადებითი აუდიტორული დასკვნის გაცემაზე. ამასთან, თუ დამკვეთი უარს იტყვის სამუშაოს მიღებაზე, ,,აუდიტს,, უფლება აქვს, შეწყვიტოს (მოშალოს) აღნიშნული ხელშეკრულება;

2.1.12 აანაზღაუროს დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ,,აუდიტის,, სპეციალისტების მივლინებასთან საქართველოს ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებასთან;

2.1.13 თავის დროზე აანაზღაუროს შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით.

2.2 დამკვეთს უფლება აქვს:

2.2.1 ,,აუდიტისაგან,, მიიღოს ამომწურავი ინფორმცია აუდიტის ჩატარების, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების მარეგულირებელი კანონმდებლობების მოთხოვნების შესახებ, ხოლო აუდიტორული დასკვნის გაცნობის შემდეგ - იმ ნორმატიული აქტების თაობაზე, რომლებზეც დაფუძნებულია აუდიტორის შენიშვნები და დასკვნები.

2.3 ,,აუდიტორი,, ვალდებულია:

2.3.1 აუდიტორული შემოწმება ჩაატაროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და შიდასაფირმო სტანდარტების შესაბამისად;

2.3.2 დაუყონებლივ აცნობოს დამკვეთს აუდიტორულ შემოწმებაში მონაწილეობის მიღების შეუძლებლობის შესახებ ისეთი გარემოებების გამო, რომელიც არღვევს აუდიტორის დამოუკიდებლობას;

2.3.3 აუდიტისათვის მივლინების ხარჯების ანაზღაურება არ შედის იმ სამუშაოთა ანაზღაურების თანხაში, რომლებიც სრულდება წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტის შესაბამისად და დამატებით ანაზღაურდება დამკვეთის მიერ;

2.3.4 აუდიტის დასრულებისთანავე დამკვეთს წარუდგინოს აუდიტორული დასკვნა, რომელიც შედგენილია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის შესაამისად.

2.3.5 უზრუნველყოს დამკვეთისაგან მიღებული დოკუმენტების დაცვა და არ გაახმაუროს მათი შინაარსი, დამკვეთის თანხმობის გარეშე.

2.4 ,,აუდიტს,, უფლება აქვს:

2.4.1 დამკვეთისაგან მიიღოს ყველა დოკუმენტი, რომელიც ეხება დამკვეთის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას;

2.4.2 დაესწროს დამფუძნებლების (აქციონერთა) საერთო კრებებს ნებისმიერი საკითხის განხილვის დროს, რომელიც დაკავშირებულია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებასთან;

2.4.3 დამკვეთისაგან მოითხოვოს ისეთი ინფორმაცია და განმარტებები, რაც აუცილებელია შემსრულებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესასრულებლად;

2.4.4 დამკვეთის თანხმობით მოიწვიოს ექსპერტები აუდიტორული შემოწმების ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად;

2.4.5 დამკვეთის დოკუმენტების ასლების გადაღება განახორციელოს წინმდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლით დადგენილი კონფიდენციალობის დაცვით.

3. სამუშაოთა ჩაბარების წესი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებულ სამუშაოთა დასრულებისთანავე, მხარეები ხელს აწერენ გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც მითითებულია ,,აუდიტის,, მომსახურების მთლიანი თანხა, რომელიც დამკვეთმა უნდა გადაიხადოს.

4. სამუშაოთა შესრულების ვადები

4.1 წინმდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების შესრულების ვადები განისაზღვრება: დაწყება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2024 წლის 01 აპრილამდე.

4.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2024 წლის 31 ივლისამდე.

5. სამუშაოთა ღირებულება და ანგარიშწორების წესი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტით მომსახურების ღირებულება შეადგენს **1200** (ერთი ათას ორასი) ლარს (დღგ-ს გარეშე). რომლის გადახდაც ხორციელდება ,,აუდიტის,, ანგარიშზე სს,,თიბისი ბანკის,, **(TBCBGE22 ა ნ გ .# GE23TB7223836020100004)** ა/ანგარიშზე უნდა გადარიცხოს არა უგვიანეს სამი დღისა, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა დასრულებიდან.

5.2 წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ანაზღაურების გადახდის დაყოვნების ან/და ვადაში არ გადახდის შემთხვევაში, აუდიტორული ფირმა იტოვებს უფლებას შეაჩეროს მომსახურების გაწევა დამკვეთის მიერ ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

5.3 ამ ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის დადგენილ ვადაში გადუხდელობის შემთხვევაში ,,დამკვეთს,, დაეკისრება პირგასამტეხლო ვადაში გადაუხდელი თანხის 0,1%-ს ოდენობით ყოველვადაგადაცილებულ დღეზე. მხარეები თანხმდებიან, რომ დარიცხულმა პირგასამტეხლომ შესაძლებელია შეადგენოს დავალიანების ორმაგმა ოდენობამ, ასეთ შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია აანაზღაუროს დავალიანება და მასზედ დარიცხული პირგასამტეხლო სრული ოდენობით.

5.4 პირგასამტეხლოს დაკისრება (5.4 პუნქტი) მხარეთა უფლებაა და არც ერთ მხარეს არ აქვს ცალსახა ვალდებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლო გადახდა. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, გადახდას დაექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომელსაც ექნება პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის უფლება მეორე მხარეს მოსთხოვს პირგასამტეხლოს გადახდას. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულების ან/და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

6. კონფიდენციალობა

6.1 მხარების ვალდებულნი არიან, საიდუმლოდ შეინახონ ამ ხელშეკრულების შინაარსის ის ნაწილი, რომელიც ეხება სამუშაოთა ღირებულებსა და ანაზღაურების წესს, აგრეთვე ნებისმიერი ინფორმაცია და მონაცემები, რომელსაც თითოეული მხარე წრმოადგენს ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, არ გაუმჟღავნოს მესამე პირებს მთლიანად ან ნაწილობრივ ფაქტები და ინფორმაცია ამ ხელშეკრულების მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. შემსრულებელი ვალდებულია, ამ ხელშეკრულების შესრულების დროს მიღებული ფაქტები ან ინფორმაცია არ გამოიყენოს სხვა მიზნებისათვის, დამკვეთის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, ისევე როგორც დამკვეთი ვადებულებას იღებს, არ გამოიყენოს ასეთი ინფორმაცია, შემსრულებლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

6.2 წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეებზე დაკისრებული კონფიდენციალობის ვალდებულება არ ვრცელდება საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე, აგრეთვე ინფორმაციაზე, რომელიც ცნობილი გახდება ამ ხელშეკრულების რომელიმე მხარის გარდა სხვა მიზეზით.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის დამკვეთსა და შემსრულებელს ეკისრებათ ქონებრივი პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობისა და ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.2 დამკვეთი შემსრულებელს ზარალს აუნაზღაურებს რეალური დანაკარგის სიდიდით, თუ მოცემული ზარალი დამკვეთის მიერ მცდარი ინფორმაციის წარდგენის პირდაპირი შედეგია, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

7.3 შემსრულებელი დამკვეთს ზარალს აუნაზღაურებს რეალური დანაკარგის სიდიდით, თუ მოცემული ზარალი არის შემსრულებლის მიერ მცდარი ინფორმაციის წარდგენის პირდაპირი შედეგი, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.4 ანაზღაურების პირობების დარღვევისათვის დამკვეთი აუდიტს ჯარიმას გადაუხდის თითოეულ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხიდან 0,5%-ის ოდენობით (პ5.4);

7.5 ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში სამუშაოს შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ ეს მოხდა შემსრულებლის მიზეზით, აუდიტი დამკვეთს გადაუხდის ჯარიმას თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე შესაბამისი მომსახურების გაწევისათვის გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

7.6 აუდიტორული ფირმა არ კისრულობს არანაირ პასუხისმგებლობას იმ ნებისმიერ ოპერაციის შედეგზე, რომელიც დამკვეთმა შესაძლოა მომავალში განახორციელოს, ასევე მომავალ ცვლილებებზე კანონმდებლობაში, თუ დამკვეთი წინასწარ არ მიმართავს აუდიტორულ ფირმას კონსულტაციისათვის ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში.

8. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა

8.1 მხარეთა შეთანხმებით, მოცემული ხელშეკრულება შეიძლება ვადაზე ადრე შეწყდეს;

8.2 თითოეულ მხარეს უფლება აქვს, შეწყვიტოს მოცემული ხელშეკრულების მოქმედება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გზით, თუ მეორე მხარე დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და ასეთ დარღვევას არ გამოასწორებს ამ დარღვევის შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან სამ დღეში;

8.3 მხარეებს უფლება აქვთ, ორმხრივი შეთანხმებით, გააუქმონ წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მისი შესრულება ცნობილი იქნა არამიზანშეწონილად, რაზედაც დამკვეთის მიერ გადახდილი თანხა დაბრუნებს არ ექვემდებარება.

8.4 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა ან შეჩერება დამკვეთს არ ათავისუფლებს აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული მომსახურების და მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებისაგან, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით მოვლენის დადგომის მომენტისათვის, თუ საწინააღმდეგო არ იქნება დადგენილი მხარეტა შესაბამისი შეთანხმების წინამდებარე ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.

8.5 მხარეებს უფლება აქვთ, მოითხოვონ ხელშეკრულების გაუქმება და ზარალის ანაზღაურება, თუ მეორე მხარემ დაარღვია მოცემული ხელშეკრულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული

კონფიდენციალობის მოთხოვნები. ამასთან, აუცილებელია იმ ფაქტის მტკიცებულებების წარდგენა, რომ კონფიდენციალური მონაცემები გახმაურდა მეორე მხარის მიზეზით;

თუ მეორე მხარე აღიარებს თავის კავშირს კონფიდენციალური მონაცემების გამჟღავნებასთან ან სასამართლოს წესით დადგინდება ეს ფაქტი, მოცემული ხელშეკრულება მოიშლება, ხოლო ინფორმაციის გახმაურებით მიყენებული ზარალი უნდა ანაზღაურდეს მოცემული ხელშეკრულების შესაბამისად.

ამ შემთხვევაში, ხელშეკრულების მოშლის მომენტისათვის შემსრულებლის მიერ დასრულებული სამუშაოს ანაზღაურება განხორციელდება ამ ხელშეკრულების 8.4 პუნქტის შესაბამისად;

8.6 მოცემული ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე, თუ მისი დადების შემდეგ მხარეებისთვის ცნობილი გახდება ერთ-ერთი შემდეგი გარემოებათაგანი, რომელიც მხარეებისთვის ცნობილი არ იყო ხელშეკრულების დადებამდე ობიექტური მიზეზების გამო:

ა) დამკვეთი არის შემსრულებლის დამფუძნებელი, მესაკუთრე, აქციონერი, კრედიტორი, დამზღვევი;

ბ) შემსრულებელი არის დამკვეთის დამფუძნებელი, მესაკუთრე, აქციონერი;

გ) დამკვეთი არის შემსრულებლის შვილობილი საწარმო, ფილიალი, ან წარმომადგენლობა;

დ) შემსრულებელი დამკვეთს მომსახურებას უწევდა ბუღალტრული აღრიცხვის აღდგენასა და წარმოებაში, ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში.

8.7 იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მხარისათვის ცნობილი გახდება 8.6 პუნქტში მითითებული ერთ-ერთი გარემოებათაგანი, მან მეორე მხარეს უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება ამის შესახებ, რის შემდეგაც სამუშაოთა შესრულება ამ ხელშეკრულების მიხედვით უნდა შეწყდეს და 8.1 პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულება გაუქმდეს.

9. ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობიდან განთავისუფლების საფუძველი

9.1 მხარეები ნაწილობრივ ან მთლიანად თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ შეუსრულებლობა განაპირობა ისეთმა მიზეზებმა, რომლებიც არ ექვემდებარებოდა მხარეთა კონტროლს და რისი გათვალისწინებაც, ან თავიდან აცილება მხარეს არ შეეძლო არანაირი გონივრული საშუალებით, როგორიცაა: მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, მასობრივი გაფიცვა, სამთავრობო დადგენილებები და განკარგულებები და სხვა გარემოებები, რომლებიც თავისი ხასიათითა და შედეგებით შეიძლება მიჩნეულ იქნეს ფორსმაჟორულად;

9.2 მხარე, რომელიც დაეყრდნობა 9.1 პუნქტში მითითებულ გარემოებებს, ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყონებლივ აცნობოს ხელშეკრულების მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების დაწყების შესახებ. ინფორმაცია უნდა შეიცავდეს მონაცემებს გარემოებების ხასიათზე, აგრეთვე მათი გავლენის, შეძლებისდაგვარად, შეფასებას მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებასა და ვალდებულებების შესრულების ვადაზე;

9.3 აღნიშნული გარემოების მოქმედების შეწყვეტისას მხარემ დაუყონებლივ უნდ აცნობოს ამის შესახებ წერილობით მეორე მხარეს. ამასთან, მხარემ უნდა მიუთითოს ვადა, რომლის განმავლობაშიც ვარაუდობს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებას, თუ ამის გაკეთება ისევ შესაძლებელი და მიზანშეწონილია მხარეთათვის, ან დაასაბუთოს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ან მიზანშეუწონლობა;

9.4 ფორსმაჟორული გარემოებების დაწყების შემთხვევაში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევს იმ დროით, რომლის განმავლობაში მოქმედებს ასეთი გარემოებები და მათი შედეგები.

10. დავების გადაჭრა

10.1 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მხარეებს შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება უნდა გადაიჭრას სასამართლოს წესით, თუ ისინი ვერ მოგვარდება მოლაპარაკებების გზით.

11. სხვა პირობები

11.1 შემსრულებელი, თავისი შეხედულებისამებრ, ახორციელებს სპეციალისტების შერჩევას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესასრულებლად;

11.2 მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა ღირებულება განსაზღვრულია მხოლოდ ამ ხელშეკრულების შესრულებისათვის და არ შეიძლება იყოს პრეცედენტი მომავალში სხვა ანალოგიური ხელშეკრულების დადების დროს;

11.3 სამუშაოთა შესრულებისას შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი ყველა წინადადება და რეკომენდაცია ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და არ არის სავალდებულო, გარდა იმისა, რომლებიც მიმართულია ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და გამოყენებული კანონმდებლობის ნორმების არსებითი დარღვევების აღმოსაფხვრელად;

11.4 ამ ხელშკრულების ნებისმიერი დამატება და ცვლილება მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია უფლებამოსილი პირების მიერ. დამკვეთს უფლება არ აქვს, შეზღუდოს აუდიტორული შემოწმების დროს გამოსაკვლევ საკითხთა წრე;

12. ინტერესთა კონფლიქტი

12.1 ხელშეკრულებაზე ხელმოწერით სსიპ „ქ. თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის“ სამხატვრო ხელმძღვანელი პაატა გულიაშვილი ასევე ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები

აუდიტი:

შპს ,,გგ აუდიტ ჯორჯია“

მის: თბილისი, დ. აბაშიძის ქ #11

დირექტორი

გოჩა გარუჩავა

Gocha Garuchava 01013010116

Digitally signed by Gocha Garuchava
Date: 2024.01.26 16:07:53

დამკვეთი

სსიპ „ქ. თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი“
ს/კ 231169641
სამხატვრო ხელმძღვანელი

პაატა გულიაშვილი

Paata Guliashvili

Digitally signed by Paata Guliashvili
Date: 2024.01.26 16:19:39 +04'00'